ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2386264

ნომერი: AR1369922

თარიღი : 11.01.2016

გაცემის თარიღი : 14.01.2016

გაცნობის თარიღი : 15.01.2016

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჩახრუხაძე , N 29 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- თენგიზ გეგეჭკორი პ/ნ 01008027202
- თბილისი ირ.აბაშიძის ქ. N 16

ორგანიზაცია:
- შპს სოფტ ინტერნეიშენალ ბილდ კოდი: 205186350

ნომენკლატურა :

- ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი
- III კლასი
- დემონტაჟი
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შ.პ.ს ,,სოფტ ინტერნეიშენალ ბილდ,,
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 205186350
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: სოსო გეგეჭკორი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01008027202

.სადემონტაჟო ობიექტის ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები.:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 106.0
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 254.1
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 1215.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 1122.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 93.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 12.34
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 9.24
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 3.1

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა დარეგისტრირებულია არასწორი განაცხადის ველში.

გადაწყვეტილება

სამსახურში განხილული იქნა თქვენი განაცხადი, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, ჩახრუხაძის ქ. N29–ში დემონტაჟის პროექტის შეთანხმებასა და ნებართვის გაცემას.

განაცხადის რეგისტრაციისას თქვენს მიერ შერჩეულია "ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის" ნომენკლატურა.
შპს "მშენ–ექსპერტის" 03.11.15წ. კონსტრუქციული დასკვნის თანახმად სადემონტაჟო შენობა წარმოადგენს 2 სართულიან მრავალბინიან საცხოვრებელ სახლს.
მუშა პროექტის სათაურში მითითებულია "სამ სართულიანი მანსარდით მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის დემონტაჟის პროექტი".

ვინაიდან წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით სადემონტაჟო ობიექტი არ წარმოადგენს ინდივიდუალურ საცხოვრებელ სახლს, თქვენს მიერ არასწორად იქნა შერჩეული ნომენკლატურა.
გაცნობებთ, რომ სამსახური იმსჯელებს თქვენი მოთხოვნის შესახებ განაცხადის შესაბამის ნომენკლატურაში ატვირთვის და ერთმანეთის შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ.
ამასთან, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისადა ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისმერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს გადაწყვეტილების (ოქმი N34, 25.12.2015წ) შესაბამისად, საჭიროა წარმოდგენილი იქნეს აღნიშნული ტერიტორიის განვითარების გეგმა ესკიზი.
ასევე, მშენებლობის ორგანიზების პროექტი დამუშავებული უნდა იყოს შესაბამისი კონსტრუქციული დასკვნის საფუძველზე. წარმოდგენილი კოსნტრუქციული დასკვნის თანახმად, სადემონტაჟო სამუშაოები საჭიროა შესრულდეს ხელით. მშენებლობის ორგანიზების პროექტის განმარტებით ბარათში, პროექტის დამუშავების საფუძვლებში არ არის აღნიშნული ზემოაღნიშნული დასკვნა, ხოლო სამუშაოთა წარმოების წესების და მეთოდების ნაწილში ასევე არ არის დაკონკრეტებული რომ სამუშაოები სრულდება ხელით.

რაც შეეხება წარმოდგენილ 2007 წელს გ. ჭანიშვილის მიერ შესრულებულ კვლევას, ის ეხება ბარათაშვილის ქ. N23 და ჩახრუხაძის ქ. N27 და N29–ში არსებული შენობების რეკონსტრუქციას და, ვინაიდან რეკომენდაციები არ ეხება ობიექტის დემონტაჟს, საჭიროა წარმოდგენილი იქნეს სახელოვნებათმცოდნეო კვლევა რეკომენდაციებით საპროექტო დემონტაჟთან მიმართებაში.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ

მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.